

ლიტერატურული განცემი

№25 30 აპრილი - 13 მაისი 2010

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



სერგ ვარ ჩაფრენილი
ზამთარი აშიშვლებს,
ქიმიოთერაპია პარსაკს,
მძიმედ ადიან ტალახიდან მთვარემდე.
ჩემი ტალახი უფრო რეალურია,
ჩამაცემენტებს დანიელ ჭონქაძეში,
ხეებამდე თუ არ მივიტანე თავი,
ზედ მოვარეზე არ მივადე,
მერქანში შესულზე...
დაბრუნებული, შუადლეს ავადულებ,
წყალს კალენდარში შევიტან
ოთხშაბათად, სამსახურის დღედ,
პირიდან დაღვეჭილ გზებს გამოყერი
და წავალ, წამოვალ,
საწერ მაგიდების,
საზოგადოების საზოგადოების
სისხლი დაემართათ,
იმ ზემოთ წახსენები მწერალივით?

ვარსკვლავებისკან?

აქ ვინ ხარ?
სულზე წიგნს ხომ არ გამოიბამ!
სხვა რომ ჰაერს შეარხევს,
შენ დაბერტყავ,
სიტყობოს დააყრევინებ?
მუცლიდან ამოღებულ სულს
სიგამხდრით გაეჯიბრები?
არც ქონის ფართობი
მოგყვებათ აქამდე,
არც ნეკნების სივიწროვე,
აქაურ ფერში წყალია გარეული,
მსუქნად ვერ მოუსვამ,
ხორკლს არ გაკეთებს,
რომლის გამოსადები თითები
ფოთლებივით გაგცივდა,
თუკი რამე გენატრება, ხები,
მზეს ჩრდილი და დუღილი არ აქს,
ქარს — მიმართულება,
თვალი რაღაზე გიკეთია?
ნერტილს რომ წაფინოს,
დროის მონაკვეთი გაჩნდეს,

თბილი, ფორმიანი,
ამ არაფერთან შედარებით!
მინიდან აფრენა თუ გინდოდა,
სისხლიანი ფეხებით,
ლაუგარდი, ღრუბელი მათ
მოსაშუშებლად
და ისევ უკან!
არავითარი წაქეზება „ad astra!“
უზიფათო ცა ფანჯარაში...
დადექი და იყითხე
სინათლის პარტიტურა!

საცორი მაგიდა

ქვებს რომ აგროვებდი,
ბიბლია? ჩაყილაპე?
ყელი გაგიხსნა და ცეცხლი გამოგიჩინა?
უკვე ბატარა, უცნებელი,
თუ ისევ ის,
კილომეტრების გამწითლებელი,
მათი ცხლად მომტანი,
სანერ მაგიდებონ?
მაშინ, რატომ, მაინცდამაინც, შენი,
ასეთი უელფერო, მაუდის ხმით?
იმ ქვებზე, პერანგის ჯიბებში,
კარაქივით ლაპლაბა წყალზე?
თვითმევლელობის მზა ფორმულა
უკვე დროა?
ქვევიდან ზევით რომ ლაპარაკობ,
ნერ, ხაზებს ავლებ?
ამბობ: — სევდიანი შვეული ხაზი!
ვიღაცას მოსწონს, მაგრამ
ყურებს არ უხევს,
პრიალა წყალი
ქვებით რომ დაჩეჩქვო,
ზევიდან ქვევით ჩამოხედვა ეტკინებიდა,
რაც სამუდამოა...

* * *

ღრუბლიან დღეში უფრო ვემალები იმას,
რაც ქუჩიდან უხნის,
მზით გაჩირალდნებულ გაურკევლობას
სახელი უნდა დაარქეა,
ვთქავათ, თავში სკამი — სიმაღლის შიში,
შეპყრობილი პირადად შენ!
ღრუბლებში დამაღლვის უნარიც შენი —
ვითომ, ჩიტობის...
ზოგადად „შიშები“ უკვე ეპიდემია,
შენც, არა მარტოხელა შეპყრობილი,
არამედ ერთი იმათგანი,
დიაგნოზის შემადგენლა ნაწილაკი,
წვეთი, ნამცეცი,
ღრუბლებან და მზესთან თამაში?
ეს ხომ იყო,

შენუხებული გრამატიკა,

თითების მრავლობითი დღევანდელია,

თუ გინდა, ნუ შეეგუები.

საღამო

ღია ფანჯარაში ქაშუეთი ჩანს,
მასთან ერთად ვეახშმიბ,
საღამოს შვიდ საათზე
ეს დრო მიყვარს
მთელი დღის ნაწვალებ
პლასტმასის კონსტრუქციებს შლის,
აბუნდოვანებს
შესაფერის წიგნს ვეძებ,
ჩემს ბრმა კარადაში.
რა შუშებიანი კარადები აქვთ,
რა თვითკმაყოფილი წიგნები!
ევროპებსა და აზიებში
ფერმიცემული,
პირდაპირ იქმევა!
ფანჯარაში გაყრილი ფანჯარა...
ევლესია საიდანდა ჩანს?
მასთან ერთად როგორ ივახშმებ?

მერეხელობა, თუ პოეტი
ლვინის ჭიქაში?
სახეზეც გერეკლება, სვამ...

ინსტალაცია

დოქები, ბოთლები, ლამპის შუშები,
დაგრეხილი კისრების ინსტალაცია
აიმრიზება რომელიმე მათგანი,
სიტყვას მოარგებ, მჭიდროდ,
მოთოკავ,
ყვირილის დიაპაზონს
წარუნამდე შეუმოკლებ,
ძირფესვანი ნივთების დახმარებით,
შენ რომ არ გიყიდია:
მზითვეი, მზით გაცვეთა
და სხვა ამგვარი მაღალფარდოვნება,
ნერვებივით აწენილი სამშობლო,
ქარიზმატული ტიპების მიერ,
აუტსაიდერების ჰერბარიუმი წიგნებში,
აქედანვე ამოღებული,
საკუთარი მოღრეცილი კისერი,
საგრები თავისთავად,
უერთმანეთობა,
რაც უფრო განგრევს
„აირევი ივერიას“ მოტივებზე...

იმპროვიზაცია

ასეთი მგლები?
შავი კოსტუმი,
თეთრი ცხვარი ჯიბეში
თან, ეთიკეტი,
თან უმნიკვლობის თამაში
კარებ გახეული, ნადირობა დაშვებული,
განსაკუთრებით ბავშვებისთვის —
პირში მგლებით დასდევენ ხორცს
აკი, 70% წყალი ვართ?
ბრუნენტში შეხეული მტკვარი
შემიძლია, არ უნდათ,
მეტაფორაში აზელილი
დედა, სისხლი, ტყუილი
ბავშვებიდან წითელ რძეს ესვამ!
ბავშვების მგლები
უფრო დამჯერები არიან,
უზმოზე თითო ოქროპირს ვაყლაპებდი:
აქედან თოვლი —
ასეთი თავისუფალი თარგმანი მგლების —
ჰესე ქართული ნევროზების ბალში?
სევდის ბალი რომ იყო,
შემოდგომა ვერ გავიყავით...

ძელია დილამდე

სმები გხედავენ
არა დღის, პრიალა,
ვაშლის მულიაჟივით,
ღამის ხმები,
ყელის ძირში ხრინწით,
ლოგინს ვიშლიან,
ნეკებზე სურვილს გიკაკუნებენ,
ვითომ, ჰეგზამეტრს?
მარილიანი ცა უნევთ ლოგინში
და, კიდევ, თანაბარმარცვლიანი ფიქრი?
წითელი ქეშაგები შემთხვევით
გამოგდის,
წურბელებისგან ჟანგიან კეფაზე
ატლასს ცელულიტი არ ემართება,
სრიალით ჩამორბის თემოებზე
ასე, მზერასაც არ გაექცეოდი,
მაგრამ ჭინჭრიანია
ღამის ხმები,
ღვინის ფსკერიდანვე სცხელათ,
გიყურებენ,
რბილად იხრებიან შენსკენ,
დოლამდე რამდენიმე საათი რჩება...

